GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 314
თარიღი: 14 07 2017 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. საჯაროდ როდის და რა ფორმით გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტების გაერთიანება და თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირება იგეგმებოდა;
   - რა შინაარსის იყო საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტების შესაძლო გაერთიანების შესახებ. გთხოვთ მოგვაწოდოთ ამ განცხადების ტექსტი;
   - იმ შემთხვევაში თუ ბეჭდური მედიით იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების შესაძლო გაერთიანების შესახებ საზოგადოებისთვის მიწოდებული, გთხოვთ დაურთოთ გამოცემის ერთი ეგზემპლარი.

2. მუნიციპალიტეტების შესაძლო გაერთიანებასთან დაკავშირებით, წარდგენილ იქნა თუ არა დაინტერესებული პირების მოსაზრებები რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიასთვის? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ აღნიშნული მოსაზრებები.

3. რეგიონული განვითარების კომისიის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მუნიციპალიტეტების გაერთიანების წინადადების წარდგენის შესახებ ინფორმაცია. გთხოვთ მიუთითოთ თარიღი და კომისიის მიერ გაგზავნილი წერილი;

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორი

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი:
ელენე მჭედლიშვილი

ტელ: 598 290 058
e-mail: emche14@freeuni.edu.ge